

საქართველოს კანონი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (პარლამენტის უწყებანი, N31, 24 ივლისი, 1997, გვ. 1) 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”3. ზოგიერთი საქმიანობა, რომელთა ჩამონათვალსაც განსაზღვრავს კანონი, იურიდიულ პირს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის ან ავტორიზაციის გავლის საფუძველზე. აღნიშნული საქმიანობის განხორციელების უფლება იურიდიულ პირს წარმოეშობა ლიცენზიის/ნებართვის მიღების/ავტორიზაციის გავლის მომენტიდან.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი